

გამჭვირვალობის შესახებ ანგარიშგება, 2025 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ბილიო აუდიტი

მმართველი ორგანოს განცხადება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამჭვირვალობის შესახებ ანგარიშში წარმოვაჩინეთ ბიდიო აუდიტის სწრაფვა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისკენ, მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად გამოყენებული მეთოდები და ჩვენი გუნდის უწყვეტი პროფესიული განვითარება. დღეს, ჩვენი კლიენტების, თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოების ნდობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია. ამ ანგარიშის მიზანია, დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს უკეთ გაიგონ ჩვენი მმართველობის სტრუქტურა, ხარისხის მართვის სისტემა და ის ღონისძიებები, რომლებსაც ვატარებთ ჩვენი პროფესიული პასუხისმგებლობის შესანარჩუნებლად.

ჩვენი თანამშრომლები ჩვენი ყველაზე ღირებული აქტივია მაღალი ხარისხის აუდიტის უზრუნველყოფისთვის. ჩვენ მნიშვნელოვან რესურსებს ვხარჯავთ მათი პროფესიული განვითარებისთვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი აღჭურვილნი არიან უახლესი ცოდნითა და უნარებით.

ჩვენმა უწყვეტი განვითარებისა და ინოვაციისადმი სწრაფვამ მოგვცა შესაძლებლობა, უკეთ მოვემსახუროთ კლიენტებს და მოვერგოთ აუდიტის პროფესიის მუდმივად ცვალებად გარემოს. აუდიტის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ჩვენი მიდგომა კომპლექსურია და მოიცავს მკაცრ შიდა კონტროლს, პროფესიული სტანდარტების დაცვას და მტკიცე ეთიკურ საფუძვლებს. ვიმედოვნებთ, რომ ამ ინფორმაციაზე წვდომის შემდეგ დაინტერესებული მხარეები უკეთ გაიგებენ, როგორ ფუნქციონირებს ბიდიო აუდიტი და რა წარმოადგენს ჩვენს ძირითად ფასეულობებს.

მმართველი პარტნიორი



მაია ხაჩიძე

2026 წლის 30 აპრილი

სარჩევი

1.	ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა	4
2.	ფინანსური მაჩვენებლები და კლიენტები	5
3.	ხარისხის მართვის სისტემის მიმოხილვა	6
4.	ეთიკა და დამოუკიდებლობა.....	9
5.	თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკა.....	10
6.	პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები.....	10
7.	გარიგების პარტნიორების და ხარისხის მიმოხილვების როტაცია.....	10

1. ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა

შპს ბიდიო აუდიტი (შემდგომში – „ფირმა“) არის შპს ბიდიო საქართველოს შვილობილი კომპანია (100%), რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - BDO International Limited-ის ქსელის წევრ ფირმას და შედის BDO-ს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. BDO არის საერთო სავაჭრო ნიშანი ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისთვის. ფირმა ასევე არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) წევრი, რომელიც თავის მხრივ არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი. ამასთანავე, ფირმა წარმოადგენს აუდიტორულ კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში, გააჩნია საქართველოში ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის, მათ შორის სდპ (საჯარო დაინტერესების პირი) სტატუსის მქონე კომპანიების ფინანსური აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება და ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას.

BDO-ს გლობალური ქსელი მოიცავს 169 ქვეყანას და ტერიტორიას 94,900-ზე მეტი თანამშრომლითა და 870 ოფისით მსოფლიო მასშტაბით. BDO-ს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში, გარდა ბიდიო საქართველოს ჯგუფისა, შედის შემდეგ ქვეყნებში, ტერიტორიებსა და რეგიონებში არსებული ფირმები:

ავღანეთი, არგენტინა, სომხეთი, არუბა, ავსტრალია, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბანგლადეში, ბაჰამის კუნძულები, ბაჰრეინი, ბელგია, ბრაზილია, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ბულგარეთი, კამბოჯა, კანადა, კაიმანის კუნძულები, ჩილე, ჩინეთი, კოლუმბია, კოსტა-რიკა, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონი, აღმოსავლეთ კარიბის რეგიონი, ეკვადორი, ეგვიპტე, სალვადორი, ესტონეთი, ფიჯი, ფინეთი, საფრანგეთი, დასავლეთ აფრიკის რეგიონი, საფრანგეთის პოლინეზია, უზბეკეთი, გერმანია, გიბრალტარი, საბერძნეთი, გვატემალა, გერნსი, ჰონგ-კონგი, უნგრეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იამაიკა, იაპონია, ჯერზი, იორდანია, ყაზახეთი, სამხრეთ კორეა, ქუვეითი, ლატვია, ლიბანი, ლიხტენშტეინი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალაიზია, მალტა, მავრიკი, მექსიკა, მონტენეგრო, მაროკო, ნამიბია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნიგერია, ნორვეგია, პაკისტანი, პანამა, პარაგვაი, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სამოა, საუდის არაბეთი, სერბეთი, სინგაპური, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ესპანეთი, შრი-ლანკა, სურინამი, შვედეთი, შვეიცარია, ტაივანი, ტაილანდი, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, თურქეთი, უკრაინა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ურუგვაი, ვიეტნამი, მდინარე იორდანის დასავლეთი სანაპირო, ლაზა და აღმოსავლეთ იერუსალიმი, ზამბია, ზიმბაბვე.

ფირმის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ხელმძღვანელობა, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება ფირმის საქმიანობასთან მიმართებით. ფირმის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ მისი დირექტორები - მათა ხაჩიძე და ივანე უუჟუნაშვილი. ფირმაში ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები განაწილებულია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISQM 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, ფირმა არის საბოლოოდ პასუხისმგებელი ხარისხის მართვის სისტემაზე და აკისრებს პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას შესაბამის პირებს. საბოლოო პასუხისმგებლობა ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე აკისრია ხელმძღვანელობას. ფირმის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია აუდიტის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელსაც აქვს უფლებამოსილება დანიშნოს ეს პირები.

2. ფინანსური მაჩვენებლები და კლიენტები

2025 წლის ბოლოს ბილიო აუდიტის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 7,844,444 ლარი, აქედან ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტის შედეგად მიღებული შემოსავალი იყო 4,677,182 ლარი.

2025 წლის ფირმის შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. სდპ-ების და ისეთი საწარმოების ფინანსური და/ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავალი, რომელთა მშობელი საწარმო არის სდპ - 1,585,731 ლარი
2. გარდა ზედა მუხლში მოცემულისა, სხვა საწარმოების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავლები - 5,460,677 ლარი
3. სხვა აუდიტორული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები - 217,201 ლარი
4. არააუდიტორული მომსახურების განვითარებით მიღებული სხვა შემოსავლები - 580,835 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფირმა აუდიტორულ მომსახურებას უწევდა შემდეგ სდპ-ებს:

- სს დაზღვევის კომპანია ქართუ
- სს თიბისი ლიზინგი
- სს მიკრობანკი ემბისი
- სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლაზიკა კაპიტალი
- სს მისო ევრო კრედიტი
- სს პეივ ბანკ ჯორჯია
- სს პეისერა ბანკი საქართველო
- სს პროკრედიტ ბანკი
- სს სადაზღვევო კომპანია ვაიზერი
- სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია
- სს სადაზღვევო კომპანია ალფა
- სს სილქ ბანკი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ფინანსი
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი
- შპს მისო ლიდერკრედიტი
- შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
- შპს ჯეოსთილი.
- სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფირმის მიერ აუდიტირებული სდპ სუბიექტისათვის, მისი მშობელი საწარმოსათვის ან მისი კონტროლისადამი დაქვემდებარებული საწარმოსათვის, ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ საქართველოს კანონის 14¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაშვებული, არააუდიტორული მომსახურების განვითარებით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 116,095.82 ლარი.

3. ხარისხის მართვის სისტემის მიმოხილვა

ფირმა მიზნად ისახავს აუდიტის სტანდარტების მაღალი ხარისხის დაცვას, რათა მუდმივად შეძლოს ხარისხიანი მომსახურების შესრულება, რომელიც შეესაბამება დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს და ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს. ფირმა აყალიბებს კულტურას, სადაც აუდიტის ხარისხი წარმოადგენს ფირმის სტრატეგიისა და პრიორიტეტების მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო ყველა პარტნიორი და თანამშრომელი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია შეასრულოს ხარისხიანი მომსახურება, პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების დაცვით.

მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესრულების მხარდასაჭერად, ფირმამ მნიშვნელოვანი დრო და რესურსი დახარჯა ხარისხის მართვის სისტემის (ხმს) შექმნასა და მართვაზე, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტს 1 („ISQM 1“) და ხელს უწყობს შემდეგი მიზნების მიღწევას:


- ფირმა და მისი პერსონალი თავიანთ პასუხისმგებლობებს ასრულებენ პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებებსაც ასრულებენ ამგვარი სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით; და
- ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული გარიგების დასკვნები (ანგარიშები) კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.

ფირმამ დაისახა ხარისხის ყველა ის მიზანი და ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის საჭირო საპასუხო ზომები, რაც განსაზღვრულია ISQM 1-ში ხარისხის მართვის სისტემის თითოეული კომპონენტისათვის. ეს კომპონენტებია:

- ფირმის რისკის შეფასების პროცესი
- მმართველობა და ხელმძღვანელობა
- სათანადო ეთიკური მოთხოვნები
- დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება;
- გარიგების შესრულება
- რესურსები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია და
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი.

ზემოთ ჩამოთვლილი რვა კომპონენტი ხარისხის მართვის სისტემაში მუშაობს უწყვეტად და იტერაციულად. ISQM 1-ის სხვა მოთხოვნები მოიცავს ხარისხის მართვის სისტემაში როლებსა და პასუხისმგებლობებს, ხელმძღვანელობის მხრიდან სისტემის შეფასებას, ქსელის მოთხოვნებს ან ქსელის მომსახურებებს და დოკუმენტაციას, რომლის დაცვასაც ფირმა უზრუნველყოფს.

ფირმის ხარისხის მიზნების მისაღწევად, ხარისხის მართვის სისტემის შექმნისა და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, ფირმამ გაატარა შემდეგი ღონისძიებები ხმს-ის თითოეული კომპონენტისათვის:



მონიტორინგი

ფირმა მონიტორინგს უწევს SOQM-ის დიზაინს, დანერგვასა და ფუნქციონირების ეფექტურობას, რათა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი საკითხები. ფირმა აანალიზებს გამოვლენილი ნაკლოვანებების ძირითად გამომწვევ მიზეზებს და დროულად ახორციელებს რემედიაციის ღონისძიებებს.

ფირმა აიდენტიფიცირებს განვითარებებსა და ცვლილებებს ფირმის გარემოებებში ან მის გარიგებებში და ახდენს ხარისხის მართვის სისტემის შესაბამის ადაპტაციას, ცვლილებების საპასუხოდ. გაძლიერებული მონიტორინგი და რემედიაცია მნიშვნელოვანია ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში, რათა დარწმუნებით ვიცოდეთ, რომ ფირმა უწყვეტად ცდილობს თავისი ხარისხის პროცესების გაუმჯობესებას. შესრულებულმა მონიტორინგმა შესაძლოა გამოავლინოს ნაკლოვანებები ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში. ნაკლოვანებები შესაძლოა არსებობდეს, როდესაც:

- დადგენილი არ არის ხარისხის მიზანი, რომლის მიღწევაც მოითხოვება წინამდებარე ხმს-ით;
- სათანადოდ არ არის გამოვლენილი ან შეფასებული ხარისხის გარკვეული რისკი ან რისკები, რის გამოც სათანადოდ არ არის განსაზღვრული ან გატარებული ამ რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი საპასუხო ზომები; ან
- გარკვეული საპასუხო ზომა ან ზომები მისაღებ დონემდე არ ამცირებს დაკავშირებული ხარისხის რისკის რეალიზების ალბათობას, ვინაიდან ეს საპასუხო ზომა (ზომები) არ არის სათანადოდ განსაზღვრული, გატარებული ან სათანადოდ არ ფუნქციონირებს; ან
- ხარისხის მართვის სისტემის რომელიღაც სხვა ასპექტი არ არსებობს, ან არ არის სათანადოდ განსაზღვრული, დანერგილი, ან სათანადოდ არ ფუნქციონირებს

ეფექტური მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი არის გამოვლენილი ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზების ანალიზის („Root Cause Analyse“) ჩატარება, რათა გასაგები იყოს, თუ რატომ წარმოიშვა ეს ნაკლოვანება, და შესაძლებელი იყოს ეფექტური რემედიაციის გეგმის შემუშავება, მომავალში მსგავსი ნაკლოვანების თავიდან არიდების მიზნით.

ხარისხის მართვის სისტემის შეფასება

ფირმა ყოველ წელს აფასებს თავისი ხარისხის მართვის სისტემას ISQM 1-ის შესაბამისად, და ასევე, ფირმის ხმს ფირმას უზრუნველყოფს თუ არა დასაბუთებულ რწმუნებით, რომ შეფასების თარიღისთვის ხარისხის მართვის სისტემის მიზნები სრულად მიღწეულია.

დასაბუთებული რწმუნება მიიღება მაშინ, როდესაც ხარისხის მართვის სისტემა მისაღებ დაბალ დონემდე ამცირებს იმის რისკს, რომ ვერ მიიღწევა ხარისხის მართვის სისტემის განსაზღვრული მიზნები. დასაბუთებული რწმუნება არ არის რწმუნების აბსოლუტური დონე, რადგან ფირმის ხარისხის მართვის სისტემას თანდაყოლილი შეზღუდვები ახასიათებს.

ფირმის ხმს-ს წლიური შეფასება ითვალისწინებს მონიტორინგის ქმედებების დროს შეგროვებულ ინფორმაციას, ხარისხის მართვის სისტემის დიზაინის, განხორციელების და ოპერაციული მუშაობის შესახებ, რომლებიც განხორციელდა ხმს-ს შეფასების თარიღამდე. მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს საპასუხო ქმედებების ოპერაციული ეფექტურობის ტესტირებას, გარიგებების შიდა და გარე ინსპექტირების შედეგად მიღებული აღმოჩენილი ფაქტების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის განხილვას, რომელიც მიღებულია ხმს-ს შესახებ.

ფირმა იყენებს პროფესიულ განსჯას, რათა შეაფასოს მონიტორინგის ღონისძიების შედეგები და განსაზღვროს, წარმოადგენს თუ არა ხმს-ს ნაკლოვანებებს აღმოჩენილი ფაქტები, ცალ-ცალკე ან ერთობლივად. ყველა გამოვლენილი ნაკლოვანებისათვის ფირმა იკვლევს ძირითად გამომწვევ მიზეზს, აფასებს მის სერიოზულობას და ყოვლისმომცველობას, ცალ-ცალკე და სხვა აღმოჩენილ ნაკლოვანებებთან ერთობლიობაში, ფირმის ხმს-ს ხარისხის მიზნების მიღწევის კუთხით.

ყველა აღმოჩენილი ნაკლოვანებისათვის ფირმა ნერგავს და ახორციელებს რემედიაციის ღონისძიებებს, რომლებიც პასუხობს ძირითადი გამომწვევი მიზეზების ანალიზის შედეგებს, და ასევე ახდენს რემედიაციის პროგრესის მონიტორინგს.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასების შედეგი

ფირმას ხარისხის მართვის სისტემის შეფასების თარიღად დადგენილი აქვს ყოველი წლის 30 სექტემბერი. ხოლო შეფასების დასრულების თარიღს წარმოადგენს ყოველი წლის 15 დეკემბერი.

ფირმამ ხარისხის მართვის სისტემის უკანასკნელი შეფასება ISQM1-ის შესაბამისად ჩაატარა 2025 წელს და დაასკვნა, რომ ფირმის ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს ფირმას დასაბუთებული რწმუნებით, რომ 30.09.2025-ის მდგომარეობით ხარისხის მართვის სისტემის მიზნები სრულად მიღწეულია.

ფირმის ქსელის შემონმების შედეგები

ფირმა სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება BDO გლობალის ხარისხის შემონმებას. უკანასკნელი ხარისხის შემონმება ფირმამ წარმატებით გაიარა 2023 წლის ივლისში.

რეგულატორის შემოწმების შედეგები

ფირმა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან სავალდებულო შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აფასებს ხარისხის მართვის სისტემას და მიმოიხილავს შერჩეულ გარიგებებს. ფირმამ სამსახურის მხრიდან ხარისხის უკანასკნელი შემოწმება გაიარა 2023 წელს. სამსახურის შემოწმების შედეგად ფირმას და მის სამ გარიგების პარტნიორს მიენიჭა სდპ გარიგებების შემოწმების უფლებამოსილება. დამატებით 2024 წლის აგვისტოში, ფირმის ერთმა ახალმა გარიგების პარტნიორმა გაიარა ნებაყოფლობითი ხარისხის შემოწმება და მიენიჭა სდპ გარიგებების შესრულების უფლებამოსილება.

4. ეთიკა და დამოუკიდებლობა

ფირმა, მისი პარტნიორები და თანამშრომლები, ნებისმიერი პროფესიული მომსახურების გაწევისას, სრულად შეესაბამებიან პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და იჩენენ/იცავენ: პატიოსნებას, ობიექტურობას, პროფესიულ კომპეტენციასა და სათანადო გულისხმიერებას, კონფიდენციალურობასა და პროფესიულ ქცევას.

ფირმა, მისი პარტნიორები და თანამშრომლები ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობის, საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასებისა და აღმოფხვრისათვის იყენებენ კონცეპტუალურ მიდგომას. როდესაც ფირმა აღმოაჩენს პოტენციურ საფრთხეებს, საფრთხეები ფასდება, რათა დადგინდეს, არის თუ არა ის მისაღები დონის. თუ ფირმა დაადგენს, რომ საფრთხე არ არის მისაღები დონის, იგი უზრუნველყოფს საფრთხის შესაბამის მართვას.

ფირმა დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას აწვდის ყველა თანამშრომელს და სხვა პირებს, ვისზეც ვრცელდება დამოუკიდებლობის მოთხოვნები.

იმისათვის, რომ ფირმას და მის პერსონალს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც ვრცელდება ფირმასა და ფირმის გარიგებებზე, ფირმას შემუშავებული და თანამშრომელთათვის ხელმისაწვდომი აქვს ყველა იმ მასალას, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული თავიანთი პასუხისმგებლობების შესრულებას.

ეთიკის კოდექსი, ასევე პოლიტიკები და სახელმძღვანელოები, რომელიც ასახავს ფირმისათვის დაწესებულ ეთიკური მოთხოვნებსა და მათ საპასუხო ზომებს, მუდმივად განახლებული და აქტუალურია, ამასთან რესურსები განთავსებულია ფირმის ინტრანეტზე, რათა პერსონალს ჰქონდეს მასზე შეუზღუდავი წვდომა.

ფირმა უზრუნველყოფს ეთიკური მოთხოვნების თაობაზე სწავლებებსა და ტრენინგებს პარტნიორებისა და თანამშრომლებისათვის, რათა მათი ცოდნის დონე მუდმივად იყოს დამაკმაყოფილებელი და ჰქონდეთ უახლესი ინფორმაცია.

ფირმაში დანერგილია მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი, რომელიც მოიცავს ხარისხის მართვის თითოეული კომპონენტის უწყვეტ მონიტორინგს, მათ შორის, სათანადო ეთიკური მოთხოვნების და დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესრულებას. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად, ფირმის მიერ ყოველი წლის დასაწყისში შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკა

ფირმას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკა და მიდგომები, იმგვარად რომ პასუხობდეს ფირმის განვითარების, ხარისხის მიზნებს და ასევე, შესაბამისობაში იყოს დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

ფირმაში დანერგილია სხვადასხვა მიდგომები, რომლებიც თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს და მათ უწყვეტ პროფესიულ ზრდას უზრუნველყოფს. ამასთან, სერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის და აუდიტორებისთვის ფირმა ყოველწლიურად გეგმავს ტრენინგებს იმგვარად, რომ თანამშრომლებმა, მათ შორის გარიგების პარტნიორებმა, რომლებსაც გააჩნიათ სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება, დააკმაყოფილონ განგრძობითი განათლების სტანდარტის მოთხოვნები, ან უზრუნველყოფს მათ პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი განათლების პროგრამაში ჩართვას. პროგრამაში/ტრენინგებში მონაწილეობა სავალდებულოა თანამშრომლებისთვის და ფირმა ითვალისწინებს თანამშრომლების შეფასებაში.

6. პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები

გარიგების პარტნიორების ანაზღაურებაზე გადაწყვეტილება ეფუძნება სამუშაოს შესრულების სისტემურ შეფასებას. შეფასების პროცესში განხილულია შიდა და გარე მონიტორინგის შედეგები, ტექნიკური კომპეტენციები, ხარისხისადმი ერთგულება, პროფესიული ეთიკა, სავალდებულო ტრენინგების გავლა და ფირმაში დაფიქსირებული დარღვევები და საჩივრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურება განისაზღვროს ობიექტურად, ხარისხის სტანდარტებისა და ფირმის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი პრინციპების გათვალისწინებით.

7. გარიგების პარტნიორების და ხარისხის მიმომხილველების როტაცია

ფირმას განსაზღვრული აქვს გარიგების პარტნიორების და სხვა საკვანძო პერსონალის როტაციის წესი. გარიგების პარტნიორის როტაციასთან დაკავშირებით ფირმა იცავს ეთიკის საერთაშორისო კოდექსისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. სდპ გარიგების პარტნიორს უფლება აქვს, გარიგების პარტნიორი იყოს არაუმეტეს შვიდი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სავალდებულოა გარიგების პარტნიორის როტაცია.

პირს, რომელიც წარსულში იყო კლიენტთან გაფორმებული გარიგების პარტნიორი, ორი წლის მანძილზე არ აქვს უფლება დაინიშნოს ამ კლიენტის გარიგების მიმომხილველად, თუ სხვაგვარად არ არის

მოთხოვნილი ეთიკის კოდექსით. ხარისხის მიმოხილველი უფლებამოსილია, ჩაატაროს ერთი და იგივე კლიენტის გარიგების მიმოხილვა არაუმეტეს შვიდი წლისა.

კომერციული ბანკების და მიკრობანკების შემთხვევაში ფირმა ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი გარიგების პარტნიორი და სხვა საკვანძო პერსონალი უნდა შეიცვალოს ყოველი უწყვეტი 5-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.